ᲐᲘ ᲘᲐ. Nr.1

ფასი: 50 თეთრი

www.ai-ia.info

2011 წლის 9-24 აპრილი

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ!



არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია,
ადამიანო, შენდა იმედად
ღაღადებს სიტყვა «ნუ გეშინია».

ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახ სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო სული არ დაიზიანო.

ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთი იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში, ვითა უხორცო.

სტიქიონების ველურ თარეშში
სულის სიმტკიცე გმართებს მალული,
რადგან ვაჟკაცურ გზნების გარეშე,
არ არის ქვეყნად არც სიყვარული.

როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ფაფარს აიშლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,
როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის.

ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.

უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

მერაბ კოსტავა

დავით ვაჩნაძე
კავკასიის პრობლემა

გვერდები 2-4

ვაჟა-ფშაველა
დიდ-მარხვა

გვერდები 4-5

როჟე-პოლ დრუა
ყველასათვის ახსნილი დასავლეთი
გვერდები 6-7

ფოტოზე: დავით ვაჩნაძე

***დავით (დათა) ვაჩნაძე** საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი **1884** წელს დაიბადა. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. დაამთავარა თბილისის კადეტთა კორპუსი (1902წ.) და პეტერბურგის პავლე I-ის სახელობის სამხედრო სასწავლებელი. მსახურობდა ვარშავაში, მე-15 მესანგრეთა ბატალიონში. 1905 წლიდან სამხედრო სამსახური გააგრძელა თბილისში.*

20-ე საუკუნის ათიანი წლებიდან იგი ქართულ საზოგადოებრივ და ეროვნულ საქმიანობაში ჩაება. ამ დროიდანვე დაიწყო სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა. რევაზ გაბაშვილთან ერთად მან 1912 წელს დააარსა ჟურნალი „კლდე“, რომელშიც ის ფსევდონიმებით „დ. კახელი“ და „ეკალი“ პუბლიკაციებს აქვეყნებდა. „კლდე“-სთან თანამშრომლობდნენ შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), მიხეილ ჯავახიშვილი.

დავით ვაჩნაძე პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა. ქართველი თავადაზნაურობის მარშალთან, თავად კონსტანტინე (კოტე) აფხაზთან ერთად შეადგინა „თბილისის ქართული დრუჟინა“, რომლის მთავარი დანიშნულება, ოსმალეთის ფრონტზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთის ჯარებისაგან ქართველი მუსულმანებისა და მათი სოფლების დაცვა იყო. 1915 წლიდან დავით ვაჩნაძე საქართველოს დამოუკიდებლობის მომამზადებელი საზღვარგარეთ არსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ აქტიური წევრია. ორი წლის შემდეგ იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აარსებს, არის მისი ცენტრალური კომიტეტის წევრი. იღწვის რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

1917 წლის ნოემბერში შეიქმნა „ქართული ეროვნული საბჭო“, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) საქართველოს რესპუბლიკის პირველ საკანონმდებლო ორგანოდ იქცა. მისი წევრი დავით ვაჩნაძეცაა. კონსტანტინე აფხაზთან ერთად იგი მემარჯვენე ფრთიდან სამხედრო კომისიის წევრია. 1918 წლის ივნისიდან საქართველოს მთავრობა დავით ვაჩნაძეს „გერმანიის საიმპერატორო სამხედრო-დიპლომატიურ მისიის“ საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულად ნიშნავს. იგი ქართულ და გერმანულ შტაბებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ჯარის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში. იმავე წლის ოქტომბერში სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისათვის და დამსახურებისათვის პოლკოვნიკი ვაჩნაძე საქართველოს ხელისუფლებამ „თამარ მეფის ორდენით“ დაჯილდოვდა.

1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოდან გაძევებული ქართველი მოღვაწეები ევროპაშიც განაგრძობდნენ მოღვაწეობას. აარსებენ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ხალხების მოღვაწეთა ერთიან მოძრაობას - „პრომეთე“, რომლის მიზანი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ბოლშევიკების მიერ დათრგუნული ეროვნული ცხოვრების აღდგენა გახლდათ. სხვებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ქართველებიც, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ევროპაში გამოდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც. ქართველები ემიგრაციაშიც ცდილობდნენ ქართული ეროვნული მეობის შენარჩუნებას. ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო დავით ვაჩნაძეც. პარიზში «კავკასიურ კვლევათა წრე» (Cercle des Etudes Caucasiennes) არსებობდა, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე, 1933 წლის 17 იანვარს, ამ წრის გამგეობის თხოვნით დავით ვაჩნაძემ მოხსენება - «ერთაშორისი ერთიანობის ტრადიცია კავკასიის ისტორიაში» (რუსულ ენაზე) წაიკითხა. ეს მოხსენება იმავე წელს, პარიზში, ბროშურის სახით სახელწოდებით «კავკასიის პრობლემა» რუსულად გამოსცა დიმიტრი ხელაძემ. ნაშრომი წარმოადგენს ქართული ისტორიულ-პოლიტიკური აზრის ძვირფას ძეგლს და ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის მნიშვნელოვან საბუთს. საქართველოში მისი კითხვა აკრძალული იყო.

კავკასიის პრობლემა

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

რა ხდება კავკასიაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მთელი გასული პერიოდის ბოლშევიკური ტირანიის მოქმედების მოკლე მიმოხილვა. ამ პერიოდში წითელი მოსკოვის მიზნები კავკასიაში გაცხადდა და მათ განსაზღვრეს მოსკოვის ქცევა.

დაჯამების შემდეგ, ჩვენ ხელთ გვექნება ბოლო წლების მანძილზე კავკასიაში მომხდარ მოვლენათა ხასიათის ასახსნელად საჭირო, სანდო გასაღები. საქარათველოში ეს პერიოდი, აჯანყების შემდეგ, 1924 წელს დაიწყო, როდესაც დაშინებულმა მოსკოვმა, დესპოტური მმართველობის მთელი არსენალიდან, კავკასიაში დევნის ყველა სახეობის იარაღი გამოიყენა.

1925 წელი დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიებისა და ჯგუფების მოსპობით საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. კავკასიელი მთიელების განიარაღებით, კავკასიელების მასიური გადასახლებით სოლოვკებში, არხანგელსკისა და ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში. ამის პარალელურად მოსკოვი ენერგიულად ცდილობს კავკასიაზე თავისი ბატონობის განმტკიცებას და ამისათვის კავკასიისათვის კარგად ნაცნობ ფორმულას „გათიშე და იბატონე“ იყენებს. პირველად თავს დაესხნენ საქართველოს, დასვეს საბჭოთა საქართველოსაგან მისი ავტონომიური ნაწილების-აჭარისა და აფხაზეთის გამოყოფის და მათი უშუალოდ მოსკოვთან მიერთების საკითხი. სამეგრელოში მოსკოვმა განსაკუთრებული ავტონომიის შექმნა სცადა. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსკოვი გამოყოფს დაღესტანს და უმორჩილებს მას თავის მმართველობას, მთიელთა დანარჩენ რესპუბლიკას კაზაკური ოლქების მმართველობის ცენტრს, დონის როსტოვში უქვემდებარებს.

კავკასიელებში განხეთქილების შესატანად მოსკოვური ბოლშევიზმი აზერბაიჯანში ხაზს უსვამს მისი მოსახლეობის თურქულ წარმომავლობას, მის მიერ თურქულად წოდებულ აზერბაიჯანულ პრესას ის აძლევს სპეციფიურ ლოზუნგებს, მაგალითად თითქოს ქართული და სომხური ანტისაბჭოთა პარტიები კავკასიაში ეპატიჟებიან ევროპას, რისი მიზანიცაა მოსკოვი-ანკარას მეგობრობის დარღვევა და ევროპის დახმარებით აზერბაიჯანის მოძმე ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკის დამხობა. სომხეთში მოსკოველი ბოლშევიკები სომეხი ხალხის მხსნელის ნიღაბს იკეთებენ, კავკასიის სომხეთის თურქეთიდან ლტოლვილებით კოლონიზაციის ძველ პროექტს ანხორციელებენ და მას პოლიტიკური მოგების მოსაპოვებლად ეყრდნობიან. მოსკოვი მისგან „დავალებულ“ ახალ სომეხ მოსახლეებს ეყრდნობა და მათ ადგილობრივი, ოპოზიური სომეხი გლეხობის წინააღმდეგ იყენებს. ამით ის თანამედროვე კავკასიურ საზღვრებში მიწა-წყლის ნაკლებობით ისედაც გატანჯულ კავკასიელებს ერთმანეთს უპირისპირებს.

მოსკოველი ბოლშევიკების ,,თეთრი ძაფით ნაკერი” ეს მაკიაველისტური პოლიტიკა კავკასიელმა ხალხებმა საკმაოდ სწრაფად ამხილეს, დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი ადგილობრივი კომუნისტური პარტიების მონაწილეობითაც მოსკოვურ ინტრიგებს. ბრძოლის შედეგად აჭარა და აფხაზეთი საქართველოში დარჩა. ინტრიგა სამეგრელოშიც მოისპო. დაღესტანი შეუერთდა მომძე მთიელ რესპუბლიკებს. ხოლო ჩრდილო-კავკასიური ოსური ავტონომიური ოლქი კიდევ უფრო შორს წავიდა და 1926 წლის საერთო სახალხო გადაწყვეტილებით დემონსტრატიულად მიიღო დადგენილება რუსეთის ფედერაციიდან გასვლისა და საბჭოთა საქართველოს გზით ამიერკავკასიის ფედერაციაში შესვლის შესახებ. მართალია ამის გამო ოსებს თავს მოსკოვის დაუნდობელი რეპრესიები დაატყდა, 200 ოსი კომუნისტი სიმონ ტაკოევის მეთაურობით ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ მოსკოვის პრესტიჟისათვის კავკასიაში ოსების ეს ნაბიჯი ძლიერი დარტყმა იყო (იხ. 1926 წლის ოსური გაზეთი „პრავდა“).

მოსკოვმა თავისი პრესტიჟი ვერ აამაღლა თურქეთიდან სომეხი ლტოლვილებით კავკასიური სომხეთის კოლონიზაციის მისეული პროექტის განხორციელებით. ყველანაირად მჩაგვრელი ბოლშევიკური რეჟიმის, ცუდი საცხოვრებელი პირობების, წყლისა და პურის უკმარისობის, მეთოდური ძარცვისა და ძალადობის პოლიტიკის გატარების ვითარებაში, ის ვერ არწმუნებს გადასახლებულებს იმაში, რომ მოსკოვის ხელისუფლებას ამოძრავებს ჰუმანიზმი. მათ არ სჯერათ არც იმისი, რომ ცხოვრების აწყობას ახალ კავკასიურ სამშობლოში მოახერხებენ. მრავალმა გადასახლებულმა მოსკოველ „კეთილისმყოფელთა“ მძიმე ხელი იგრძნო; მათ თავისი სპარსეთიში მცხოვრები ნათესავების, ძველი ლტოლვილობის ბედის გაზიარება არჩიეს. რითი უპასუხა აზერბაიჯანმა ტკბილი თურქოფილური ლეღვის ფოთლით შენიღბულ აზერბაიჯანელი ხალხის ურცხვი ძარცვაღლეტის პოლიტიკას? ყაზახი, განჯა და ყარაბაღი გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების ცენტრებად იქცა. გამოსვლებმა აზერბაიჯანის მეზობელი კავკასიური ქვეყნების გლეხთა აჯანყებებს მისცეს ბიძგი.

კავკასიელი ხალხის შინაგანი ერთობის დამსხვრევა და ერების გათიშვა მოსკოვმა ვერ მოახერხა. ამაზე გამწარებული ის თავს დაესხა ადგილობრივ ეროვნულ კომუნისტურ პარტიებს და მათი წმენდა დაიწყო „უკლონიზმისაგან“. კავკასიურ მატარებლებს ჩრდილოეთისაკენ რეგულარულად მიჰყავდათ ადგილობრივი კომუნისტები, რომელთაც მოსკოვი ნაციონალისტურ „უკლონს“ სდებდა ბრალად. ეს ბრძოლა თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. მიუახლოვდა რა კავკასიურ სოფელს, გლეხობასთან დაუნდობელ და სასტიკ ბრძოლად გადაიქცა. მოსკოვს კარგად ესმოდა, რომ წვრილი მესაკუთრე გლეხობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც კავკასია იყო, საკოლმეურნეო გეგმები განუხორციელებელი დარჩებოდა, მაგრამ ის გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს - კავკასიელი ხალხების საყრდენის, მისი ძლიერი გლეხობის წაქცევას ისახავდა. მოსკოვი გლეხურ მასებში თავისი „ხუთწლედით“ შეიჭრა, მას ცალ ხელში დასაბმელი თოკი, ხოლო მეორეში ნაგანი ეჭირა.

„ვისაც უნდა შევიდეს, ვისაც არა - ეს მისი საქმეა“, მაგრამ იცოდეთ, ვინც არ შევა კოლექტივში ის არ მიიღებს მარილს, ნავთს, ასანთს და სხვა საქონელს, მათ ბავშვებს არ შეუშვებენ სკოლებში. კოლექტივის გარეთ დარჩენილებს წაართმევენ აქამდე მათ საკუთრებაში მყოფ მიწებს. ავანგარდში, 80-ათასიანი წითელი არმიის ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების მქონე მოსკოვმა, ამ გეგმით კავკასიური გლეხობის წინააღმდეგ თავისი 5 წლიანი ლაშქრობა დაიწყო.

,,გვახსოვს, რომ ღამ-ღამობით ხანდახან თავს გვესხმოდნენ ყაჩაღები და გვძარცვავდნენ. დღეს დღისით - მზისით, რეგულარულად მორალურად და მატარიალურად გვძარცვავს, გვაშიშვლებს თვითონ ხელისუფლება და თანაც ამასთან ერთად გიტარაზე და დაირაზე უკრავს და ცეკვავს“, გვეუბნება გლეხთა ბოლოდროინდელი წერილები. ამ 5 წლის მანძილზე კავკასიური გლეხობა განუწყვეტლად, ქედუხრელად ებრძვის ბოლშევიკური მოსკოვის ამ მძარცველურ თარეშს. რამაც უკვე მრავალი ადამიანი შეიწირა. 1930 – 1931 წლებში საქართველოს სხვადასხვა ნაწილიდან ციმბირში, თურქესტანში გადაასახლეს „კულაკებად“ გამოცხადებული ათი ათასობით ადამიანი. მრავალი ჩეკას ხელში და ჯურღმულებში დაიღუპა იარაღით ხელში. განჯის, ყაზახის და ბორჩალოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი შეუპოვარი შეიარაღებული წინააღმდეგობის შემდეგ გაიჟლიტა, ნაწილმა კი თავი შეაფარა მთიან ყარაბაღს. კავკასიური აზერბაიჯანის სპარსეთისპირა ზოლის გლეხობა სპარსეთში გაიქცა. დაზარალდა სომხური ოპოზიციური გლეხობაც, რომლის ნაწილიც სტავროპოლის გუბერნიაში და თურქესტანში გადაასახლეს .

ადგილობრივმა პოლიტიკურმა პოლიციამ (გპუ-მ)თავისმთავარფუნქციადქედუხრელი ლეკების, ჩეჩნების და სხვა მთიელების მეთოდური გადასახლება გადააქცია.

მაგრამ კავკასიური გლეხობის 5 წლიანი შეუპოვარი ბრძოლა მოსკოვს ძვირად უჯდება. გაიხსნა თავდაცვის ძველი გამოცდილების გზები. „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა და ნურც ძველსა მეგობარსა“. ეს კავკასიური ანდაზა გლეხთა მასებში ვრცელდებოდა და სტიქიურად აქცევდა მის ბრძოლას საერთოკავკასიურ კალაპოტში. კავკასიის სხვადასხვა ხალხის გლეხობამ ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდა. და მართლაც, 1929–1931 წლების ბრძოლა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ საერთო დროშით მიმდინარეობდა. 1930 წელს კავკასიის მთების ძირში, საქართველოს აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ქართულ-ლეკურმა გაერთიანებულმა ძალებმა მოსკოვის ხელისუფლების ადგილობრივი აპარატები დაამარცხეს და წითელი არმიის პოლკების წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლებში ჩაებნენ. ბრძოლებმა ერთ კვირას გასტანა, ხშირად გადადიოდა ხელჩართულ შეტაკებებში. ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა. ბრძოლებში მრავალი ქართველი და ლეკი ქალი დაიღუპა. გადარჩენილ ქართველ-ლეკთა ნაწილმა საერთო რაზმი შეადგინა და მთებს შეაფარა თავი. ლაგოდეხ-ზაქათალის მოვლენები გამოძახილი იყო უკვე დაწყებული განუწყვეტელი ბრძოლებისა, რომლებიც ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილებში - განჯის, ყაზახის და ბორჩალოს რაიონებში მიდინარეობდა, სადაც მაჰმადიანების გვერდიგვერდ სომხები იბრძოდნენ. ყარაბაღში ანალოგიური გამოსვლების შემდეგ საერთო რაზმებს აზერბაიჯანელები და სომხები ქმნიდნენ.

ბრძოლებში გაერთიანებული კავკასიური გლეხობა, რომელმაც მოძრაობაში შიდა სასაზღვრო კედლები დაანგრია, ძველ ისტორიულ გზაზე გავიდა, მან საერთო ინტერესებისათვის ბრძოლაში ყველა კავკასიელი ერის გაერთიანების დროშა აღმართა.

კავკასიაში ამ მოვლენების რეალობის საუკეთესო დამადასტურებელი საბუთია შ. ელი-

ავას მოხსენება, რომელიც მან 1930 წლის 6 ივნისს ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე წაიკითხა.
ამიერკავკასიაში მდგომარეობა ძალიან დაძაბულია, ამბობდა ამიერკავკასიის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი, ჩვენი კავშირის არც ერთი კუთხე არ განიცდის ასეთ რთულ მდგომარეობას. განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობაა სოფლებში. ქართული სოფელი შეიძლება დავახასიათოთ ასე: ის იცდის, საბჭოთა ხელისუფლებასთან დიდ შეჯახებებამდე საქმე ჯერ არ მისულა. გაცილებით უფრო რთული მდგომარეობაა სომხეთში, კერძოდ ზანგეზურის, დელიჟანის და ლორე-ბამბაკის რაიონებში. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა აზერბაიჯანში სადაც ნამდვილი აჯანყება ნახიჭევანის, ზაქათალისა და ნუხის ოკრუგებში მოხდა. მოძრაობა მოედო ყარაბაღსა და განჯასაც. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა: საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქულ აჯანყებას სათავეში სომეხი მღვდელი უდგას. დარალაგეზის რაიონში სომხები თურქთა ხელმძღვანელობით იბრძვიან, ხოლო შამქორის რაიონში იმამმა დააფიცა შიიტები, სუნიტები, გრიგორიანები და მართლმადიდებლები (გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“, 1930 წლის 18 ივნისი).
1932 წლის ბოლოს უკანასკნელი კორესპონდენციები კავკასიიდან დამატებით გვატყობინებენ, „რომ გლეხობის დიდი ნაწილი მთებში და ტყეებში გასაქცევად ემზადება, რათა იქიდან აწარმოონ ორგანიზებული ბრძოლა უსასტიკესი უცხოური უღლის თავიდან მოსაშორებლად, დასამხობად. ამ მოძრაობას ყავს ბევრი მომხრე, მთებში წასვლა უკვე დაიწყო“.
აი რა ხდება კავკასიის ცოცხალ წიაღში. ის გარკვევით ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად 12 წლიანი ჩაგვრის, მასობრივ მკვლელობათა, გადასახლებათა და ტერორის კოშმარული რეჟიმისა, მოსკოვის რეჟიმმა კავკასიის ვერც ერთ კუთხეში ვერ მოახერხა ფესვების გადგმა, რომ ბოლშევიკურმა ბატონობამ კავკასიის წიაღიდან გამოიხმო მისთვის საშიში და კავკასიელი ხალხების მხსნელი ძალა - ეროვნებათაშორისი გაერთიანების სტიქია. ის არაა შემთხვევითი. ის ძველი მაგარი ფესვებით მიდის ნიადაგის სიღრმეში. მოვნახოთ ამის დამამტკიცებული საბუთები კავკასიის ხალხების წარსულში.

კავკასიის პრობლემა - 2

ცოტა რამ ისტორიიდან:
კავკასია დიდი ისტორიული მოვლენების არეა. ესაა ორი სამყაროს, ევროპისა და აზიის, მათი რასების, მათი კულტურების შეხვედრისა და შეჯიბრის ადგილი. კავკასიის მთების ძირში ძველი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ავანგარდული და არიერგარდული ბრძოლები მიმდინარეობდა. დარუბანდის(დერბენტის)კარიბჭესარაერთხელ დაუჭრიალებია აზიის და აღმოსავლეთ ევროპის არმიების ზეწოლის შედეგად. აზიელებს ჩრდილოეთის ველებზე გასვლა უნდოდათ, ევროპელებს კი მცირე აზიაში შეღწევა.
კავკასიელები ხალხთა რასიულად ძლიერად გამოკვეთილი ჯგუფია. ისინი 25 საუკუნის განმავლობაში მედგრად იცავენ თავის კავკასიურ კერას და მასში მოგიზგიზე თავისუფლების ალს. თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის საუკუნეებში, ძლიერი სახელმწიფოების შემოსევების და იმპერიების შეჯახებით გამოწვეული ნგრევის, გავლენების, დაყოფა-დაქუცმაცებების ნაწილობრივი თუ სრული დამონებების უშუალოდ გადამტანმა კავკასიელებმა, დღემდე თავისი ტერიტორიის და მოსახელეობის ორი მესამედი მოიტანეს. მათ თავისი შიდა ტერიტორიული უწყვეტობა, კომპაქტურობა შეინარჩუნეს და დროის უდიდეს მანძილზე უცხოელების მიერ თავისი მიწების კოლონიზაცია და კავკასიის რასების დენაციონალიზაცია არ დაუშვეს.
რა იქნენ ძველი სკვითები, ეგვიპტელები, რომაელები, ბერძნები, არაბები, სპარსელები, მონღოლები, ოსმალები, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიჭრებოდნენ ხოლმე კავკასიაში თავისი უზარმაზარი ლეგიონებით, არშიებით და ურდოებით, რომლებიც კავკასიაში ხშირად რჩებოდნენ და ოქროს საწმისის ქვეყნის მიწებზე სამუდამოდ დამკვიდრებას ცდილობდნენ? ისინი წავიდნენ იქ, საიდანაც მოვიდნენ, ვინც დარჩა, ის კავკასიური რასების ნაწილად იქცა. აი კავკასიის ისტორიის ობიექტური შეფასება. კავკასიური მონოლითის გრდემლზე, პატარა კავკასიელი ერების ერთიანი ძალისხმევის ურროთი, წარსულში გამოჭედილი სიმართლე. ეს ერები საუკუნეების მანძილზე იცავდნენ თავის მიწებს, რასას, კულტურას და თავისუფლებას. ამას მოწმობენ ჩვენი ისტორიის ფაქტები: ქართულმა და სომხურმა ხალხურმა ლეგენდებმა შემოინახეს ხალხური თქმულებები სკვითების შემოსევის შესახებ ჯერ კიდევ ქრისტემდე, კავკასიელი ხალხების აკვნის პერიოდში. ისინი ყვებიან სკვითების მიერ ამ მხარის საშინელ აოხრებაზე მანამდე, სანამ ქართველებმა და სომხებმა ერთობლივი ძალისხმევით ეს საშინელი მტერი არ გააძევეს ამიერკავკასიის ფარგლებიდან. საქართველოს ისტორიის მონათხრობით სკვითები დასავლეთ ამიერკავკასიას უკვე ქრისტეს შობამდე მე - 3 საუკუნეში (250–60 წწ.) ეწვივნენ. „ამ წლებში, ამბობს ის, სკვითებმა ააოხრეს ლაზიკა და შავი ზღვის სანაპირო. მათი გავლა და ტერიტორიის აოხრება ერთი იყო, ხალხი იმალებოდა მიუდგომელ ადგილებში“. სკვითები გააძევა შავიზღვისპირეთის მკვიდრთა გაერთიანებულმა ძალამ.
კავკასიაში გამოჩენილ რომაელებს(ძვ.წ. 66 წ.) ოთხი კავკასიური სახელმწიფოს (კოლხეთის, იბერიის, ალბანეთის და სომხეთის) კავშირი დახვდათ, რომელმაც პომპეუსის გამარჯვებულ ლეგიონებს კავკასიისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.
ა. წ. მე - 5 საუკუნეში სასანიდების (სპარსეთი) ბატონობის დროს, აღმოსავლეთი კავკასიის ხალხები არაერთხელ აჯანყდნენ სპარსეთის ბატონობისა და სპარსელების მხრიდან რელიგიური დევნის წინააღმდეგ. ასე მაგალითად, სპარსეთის უღლის გადაგდება 483 წელს იბერიულ-სომხურ-ალბანურმა ჯარებმა სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. 571 წლის 30 მარტს, სპარსეთის მიერ სომხების ძალით ცეცხლისთაყვანისმცემლებლად გადაქცევის პოლიტიკას სომხები ვარდან მამიკონიანის წინამძღოლობით აუჯანყდნენ. მათ დახმარებისათვის მეზობლებს მიმართეს. ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანის ცნობით, პირველები მათ იბერთა მეფე გურგენ მეორის მეთაურობით მეზობელ ტომებთან ერთად იბერები გამოეხმაურნენ.
სპარსელთა ბატონობა მთელ კავკასიაზე მე-7 საუკუნის დასაწყისში განმტკიცდა. ისინი ყველა მხრიდან აძევებდნენ ბიზანტიელებს. ბიზანტიის კეისარმა ირაკლიმ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ხოსროვ მეორის ბატონობისათვის კავკასიაზე. ირაკლი სომხეთის გავლით სპარსეთში შეიჭრა. მან ააოხრა სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინციები და გამოსაზამთრებლად ალბანეთში (აღმოსავლეთი ამიერკავკასია) წავიდა. იქიდან მან ყველა კავკასიელ ხალხს უბრძანა, სრული აოხრების შიშით ბიზანტიას დამორჩილებოდნენ. ამაზე ალბანელებმა ომის დაუყოვნებელი გამოცხადებით უპასუხეს. ლაზებმა და აფხაზებმა კეისარს მეზობლებთან ომში დახმარება არ გაუწიეს. ირაკლი იძულებული გახდა დასახმარებლად ჩრდილოეთიდან ხაზარები მოეხმო.
კავკასიის ძველი ისტორიის ეს სამაგალითო ფაქტები, ნათლად აჩვენებენ კავკასიის აბორიგენების უძველეს პოლიტიკურ ტრადიციას - საერთო საფრთხისათვის თავისი ეროვნული ძალების გაერთიანების დაპირიპირებას. შუა საუკუნეები გვაძლევს ამ მისწრაფების განხორციელების კიდევ უფრო ხელშესახებ, დამადასტურებელ საბუთებს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტის მთქმელია საქართველოს შემკრები და გამაერთიანებელი მეფე დავით აღმაშენებელის ხანა. ამ მეფემ საქართველოს ოქროს ხანასა და მთელი კავკასიის თავისუფლებას ჩაუყარა საფუძველი. დავითი თავისუფლებისათვის ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძოდა: ის ებრძოდა თურქებს, რომლებიც ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილს ემუქრებოდნენ; აღმოსავლეთ საქართველოში მოთარეშე სპარსელებს და ჯერ კიდევ თბილისისა და ანისის მპყრობელი არაბობის ნარჩენებს. დავითის მიერ არაერთხელ დამარცხებული თურქების ინიციატივით სპარსულ-თურქულ-არაბული კოალიცია შეიქმნა, რომლის ჯარიც, ისტორიკოსების მტკიცებით დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს ითვლიდა. ეს უზარმაზარი მასა კავკასიას თავს 1121 წელს დაესხა. სამხრეთის კოალიციას დიდგორთან დახვდა კავკასიური ძალების კოალიცია 80 ათასი კაცის ოდენობით. ქართველები, აფხაზები, ჩერქეზები, ოსები, შირვანელები და სომხები დავითის სარდლობით საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში ამარცხებენ, აქცევენ ექვსჯერ უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს და როგორც არაბი, სომეხი და სხვა ისტორიკოსები ჰყვებიან, 8 დღის მანძილზე სდევნიან დემორალიზებულ მოწინააღმდეგეს. მათ მტერი ქვეყნის ფარგლებიდან გააძევეს. ცოტა ხნის შემდეგ დავითის ჯარებმა კავკასიაში არაბული ბატონობის ნარჩენებისაგან გაანთავისუფლეს საქართველოს დედაქალაქი და კავკასიური სომხეთის ცენტრი ანისი. კავკასია საკუთარ ფეხებზე დადგა.
შემდეგში მთელ კავკასიას გამაერთიანებელი მოძრაობა მოედება, რომლის დასრულებაშიც გადამწყვეტ როლს ქართულ - აფხაზურ - ჩერქეზული ხალხები თამაშობენ. ეს მოძრაობა, მე - 12 საუკუნეში, თამარ მეფით განსახიერებული ბაგრატიონების ძალაუფლების ქვეშ გარეშე გავლენებით დაქსაქსულ კავკასიას ერთიან მონოლითად აქცევს. ეს საინტერესო ხანა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი, მაგრამ ზოგიერთი საბუთი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ თამარის ისტორიკოსების მტკიცებით, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული სამეფო ცალკეული კავკასიური, როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური მიწების კავშირი იყო. ამ მიწებს უნდა ჰყოლოდათ თავისი, როგორც შიგნით, ისე კავკასიური ურთიერთობებში თავისუფალი ეროვნული მმართველები, რომელთაც ბაგრატიონთა დინასტია აერთიანებდა არა იმდენად უნიტალურ სახელმწიფოდ, რამდენადაც დამოუკიდებელი კავკასიის ხალხთა კავშირად.
მე-12 საუკუნე კავკასიელი ხალხების დაახლოების ხანაა, ამბობს ქართველი პუბლიცისტი შ. ამირეჯიბი. არის სხვადასხვა რასათა პოლიტიკური შერწყმისა და ორი (ქრისტიანული და მაჰმადიანური) სამყაროს კულტურული შეჯვარების საუკუნე. რაშიც საქართველომ ესოდენ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამ დაახლოებით მიღწეულ წარმატებებს აქებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი და მაჰმადიანი (განსაკუთრებით არაბი) ისტორიკოსები. ამ კულტურულ-პოლიტიკური წარმატების ცენტრი იყო არა მხოლოდ ტფილისი, რუსთაველის სამშობლო, არამედ მაჰმადიანური შემახა, ოჯახური კავშირებით ქართველ ბაგრატიონებთან დაკავშირებული შირვანის ხანების დედაქალაქი. სწორედ ამ დროს, განათლებულ მფლობელთა კარზე ცხოვრობდა ერთ -ერთი უდიდესი მაჰმადიანი პოეტი ნიზამ განჯელი. ამ საერთო კავკასიური აყვავების ცენტრი სამხრეთში სომხური ანისი იყო, რომლის ნანგრევებიც დღესაც ბევრს ლაპარაკობენ ამ ხალხის წარსულ კულტურულ დიდებაზე. ანისი ამ ეპოქის პოლიტიკურ ატმოსფეროში თითქოს მთელი სომხეთის აღსადგენად დადგენილი ზახარიდთა სომხური დინასტიის ისევ გაჩენის აკვნად იქცა. ამ საერთო კავკასიური პროგრესის დიდი მონაწილეები იყვნენ ასევე ჩრდილო-კავკასიელი ხალხები. თამარის პაპისა და ამ დიდი კავკასიური ეპოქის დამწყები დავით აღმაშენებლის ჯარებში ჩრდილო-კავკასიელებს მრავალი პირველი ადგილი ეკავათ. თამარ მეფის მეუღლე კი ოსეთის მფლობელი დავით სოსლანი იყო. ამ ხანის კავკასიელი ხალხების პოლიტიკური დაახლოებისა და კულტურული წარმატების ეს ფაქტები დაუნდობლად აბათილებენ იმ ცილისმწამებლურ მონაჭორს, რომლის თანახმადაც კავკასიელ ხალხებს ისტორიულად და ტრადიციულად არ შეუძლიათ თანხმობით ცხოვრება („კავკაზ“, п 1).
მე-13 საუკუნის მონღოლთა შემოსევამ ზღვარი დაუდო ამ განვითარებას. ამ საშინელ დარტყმას უქმად არ ჩაუვლია კავკასიისათვის. კავკასიის ძველი ერთობა დაემხო. დაქუცმაცება დაიწყო თვითონ საქართველომაც. მონღოლი ტომები კავკასიელ ხალხებს კავკასიის ქედისაკენ მიერეკებოდნენ, მაგრამ მიუხედავად მნიშვნელოვანი ძვრებისა, კავკასიის ხალხების შუა საუკუნეების ისტორიაში მე - 12 საუკუნე მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ შემდგომი საუკუნეების მონღოლურმა სტიქიამ საბოლოოდ ვერ წალეკა ქართველები, მთიელები და შირვანელები. ქართველმა და აზერბაიჯანელმა ხალხებმა თავისი სახელმწიფოებრივი ფორმები გასული საუკუნის ზღურბლამდე მოიტანეს. 1864 წლამდე მთიელებს არ დაუკარგავთ თავისი დამოუკიდებლობა.
ორ საუკუნოვან მონღოლურ პერიოდშიც, წვრილ ნაწილებად დაქუცმაცებული კავკასიაც საქართველოს სახით არაერთხელ ცდილობს მონღოლური უღლის გადაგდებას კავკასიონის მკვიდრთა გაერთიანებულ ძალებზე დაყრდობით. ქართველი მეფეების გიორგი ბრწყინვალის (1318–1346) და ბაგრატის (1360–1395) ეპოქა ცხადად უჩვენებს ამ მცდელობათა რეალობას და წარმატებასაც კი. ისინი საქართველოს და კავკასიის უდიდეს ნაწილს მონღოლთა დამთრგუნველი და გამაღატაკებელი ბატონობისაგან შესვენების საშუალებას აძლევდნენ. მაგრამ მონღოლთა ხანგრძლივმა უღელმა კავკასიას მაინც დაამჩნია თავისი კვალი. ძველმა სპარსეთმა და ოსმალების ახალშობილმა სახელმწიფომ მონღოლების იმპერიის ნანგრევებზე, კავკასიის მიწებზე დიდი ძალისხმევის გარეშე გავლენის ზონების დამყარება მოახერხეს.
შეიძლება დედამისწის ზურგზე არსად არ გამოუყენებიათ ესოდენი განსაკუთრებით პრინციპი: „გათიშე და იბატონე“, როგორც იმდროინდელ კავკასიაში. ჯერ მონღოლები, ხოლო შემდეგ თურქები და სპარსელები თავის მხარეზე იბირებდნენ დაპყრობილი ხალხების ამა თუ იმ ჯგუფს და მათი მეშვეობით დანარჩენთა თავისუფლებას ებრძოდნენ. წარსულში ძველი სპარსეთი თავისი გავლენისა და ხშირად ბატონობის ზონაში ამყოფებდა აღმოსავლეთ საქართველოს. მას აზერბაიჯანის დაპყრობილ სახანოებშიც ჰქონდა ბაზა. მისი კონკურენტი სულთანის თურქეთი დასავლეთ კავკასიის დაპყრობას და მეტოქე სპარსეთის სამფლობელობეში (აღმოსავლეთი ამიერკავკასია) შეღწევას ცდილობდა. მას თავისი ემისარები ჰყავდა ჩნდილოეთ კავკასიის მთიელებში და განსაკუთრებით მის ყველაზე ძლიერ ნაწილში, სუნიტურ დაღესტანში. თურქეთისა და სპარსეთის წაქეზებით დაღესტნელები არაერთხელ დასხმიან თავს საქართველოს. თურქეთისა და სპარსეთის პოლიტიკას საქართველოს სხვადასხვა პროვინციების წაქეზებაც მოუხერხებია ერთმანეთის წინააღმდეგ. სულთანის თურქეთი და შაჰინშაჰთა სპარსეთი მხოლოდ ერთ რამეში თანხმდებოდნენ: ისინი ცდილობდენენ არ დაეშვათ კავკასიელი ხალხების დაახლოება და გაერთიანება. ქართველ ხალხს იმ დროიდან დაამახსოვრდა ლოცვა, რომელსაც თბილისის მიზგითიდან მოლა ყოველ დღე წარმოსთქვამდა: „დიდო ალაჰ! არ დაუშვა ქართველების გაერთიანება“.
საქართველოს უკანასკნელ მეფე ერეკლე მეორეს(1744-1798), დიდი ბძოლის გადახდა მოუწია საქართველოს გაერთიანებისა და კავკასიელ მეზობლებთან სამოკავშირო ურთიერთობების აღდგენისათვის. 1749 წელს, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში გამეფებული ანარქიისას, ერთ-

ფოტოზე: კავკასიელნი, შუაში ზის აფხაზეთის ქედუხრელი მთავარი გიორგი შარვაშიძე

ერთი სპარსელი ხანი მამადი, თავს დაესხა ერევანს. ერევნის ხანის თხოვნით, ერეკლე თავისი ჯარებით ეხმარება მას და ერევნელებთან ერთად ის მამადს აძევებს არაქსის იქით. ხანმა მამადმა ძალები მოიკრიბა და ახლა უკვე განჯას ეცა. განჯის ხანი ისევ ერეკლეს სთხოვს დახმარებას. ერეკლე მიდის განჯაში, განჯისა და ყარაბაღის სახანოებს ათავისუფლებს სპარსელი დამპყრობლებისაგან. 1753 წელს ერეკლე ისევ ეხმარება ნადირ-შაჰის ჯარების ყოფილი სარდლის აზატ-ხანის მიერ ალყაში მოქცეულ ერევნის ხანს.

ფოტოზე: ალექსანდრე ბატონიშვილი

აზერბაიჯანის სახანოებთან მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობების აღდგენის შემდეგ, ერეკლე საქართველოს ასპარეზზე დიდი ხნის წინ დაწყებულ გამაერთიანებელ პოლიტიკას ასრულებს. ეს პოლიტიკა საერთო ქართულ ხელშეკრულებაში გაფორმდა: „იმის გამო, რომ ყველა ივერიელს აქვს ერთი სისხლი, ერთი ენა, ერთი სარწმუნოება, ჩვენ ივერიის მეფეები და მფლობელი მთავრები ვამტკიცებთ ჩვენს მჭიდრო ერთობას და ვფიცავთ, რომ მუდამ ვიდგებით ერთმანეთის გვერდით“. ერთობის ამ ხელშეკრულებას საზეიმოდ აწერენ ხელს 1790 წელს ტფილისში საზეიმოდ შეკრებილი საქართველოს უძველესი შემადგენელი ნაწილების - ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს წარმომადგენლები. საინტერესო ისაა, რომ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების შემდეგ, აფხაზეთის მთავარს თავი მეფედ ან დამოუკიდებელ მთავრად არ გამოუცხადებია. ის ან იმერეთის მეფის და ან სამეგრელოს მთავრის ვასალი იყო. როგორც ჩანს, ამიტომაა, რომ ამ შეთანხმებაზე აფხაზეთის მთავრის ხელმოწერა არ ჩანს.

(ამას ამტკიცებს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე, ცნობილი ლიტერატორის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის შემდეგი სიტყვები: „მართალია ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი განსაცდელი გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალს, უკუღმართობას ხელი, რომ არ შეეშალა ევროპის წინადაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო ომით, და დავიდარობით მოვიტანეთ ჩვენი ცხოვრება თამარ მეფის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა, შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება, შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონეგაშეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივაღწიეთ იმ ხანაში, რომ კეთილდღეობასა ვპოვნიდით ჯაშუშობაში და ხალხის მტრობაში“. („საქართველო Nr. 127 ,128, 1917 წ., მთარგმნელის შენიშვნა).

ერეკლე მეორე თავის შემკრებ პოლიტიკას ამთავრებს სომხებთან მტკიცე კავშირების აღდგენით. სამხრეთიდან შეტევების ობიექტად ქცეული სომხები მეფე ერეკლეს სახით დიდ მფარველს იძენენ და საქართველოში (ქართლში, ბონჩალოსა და ტფილისში- ავლაბარში) დასახლების უფლებას იღებენ. ამ ხანებში სომხები მხოლოდ კავკასიაში განთქმული ვაჭრები არ იყვნენ, მათ საქართველოში ადმინისტრატიული და დიპლომატიური საქმიანობის სფეროებში პასუხისმგებელი თანამდებობები ეკავათ.

მე-18 საუკუნის საქართველოს მეთაურის მთელი ეს უდიდესი აღმშენებლობითი საქმიანობა ძველი სპარსეთისა და თურქეთის მმართველების აქტიური მტრობის პირობებში მიმდინარეობდა. ისინი ერეკლეს ქართულ შენობას ზედიზედ დარტყმებს აყენებდნენ, მათმა ზეწოლამ საქართველოზე ბოლოსდაბოლოს კავკასიური კედელი გაარღვია. ნარღვევში მალე სლავური ნიაღვარი შემოიჭრა.

მეფე ერეკლე მეორის რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორესთან შეთანხმება და მომდევნო მოვლენები, რომლებიც კავკასიური ეროვნული სახელმწიფოების სრული ნგრევით და რუსეთის მიერ მთელი კავკასიის დაპყრობით დასრულდა, მხოლოდ ამ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ახლოსმხედველური პოლიტიკის შედეგი იყო. (წყაროები „საქართველოს მატიანეები“ პროფ. ი. ჯავახიშვილი, ლატიშევი, ზ. ავალიშვილი, დუბროვინი, პროფ. ა. ი. კოვალევსკი).

(გაგძელება შემდეგ ნომერში)

აი ია. - ს
შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 25 აპრილს

ვაჟა-ფშაველა

დიდ-მარხვა

ფოტოზე: ვაჟა-ფშაველა

გაისმა კვალად მწუხარე ხმა ზარისა. ეს ნიშანია იმისა, რომ ყველას გული მოიცვას მწუხარებამ. როცა ადამიანი სწუხს, მაშინ მიდრეკილება აქვს კეთილის საქმნელად, ფიქრთა და გრძნობათა გასაწმენდად. ღვინო რომ უსაზღვროდ არ ამხიარეულებდეს ადამიანს, როდი ჩაითვლებოდა ცოდვების მშობელ დედად, მაგრამ, რადგან იგი ახელებს ადამიანის გუნებას, იმიტომ უნდა ერიდოს ყოველი ადამიანი, ვისაც ცოდვები აშინებს: ავაზაკობა, მრუშობა, გამცემლობა და ღალატი მოძმეთა. და განა მარტო ღვინო ახარებს გულსა კაცისასა? არა, ყოველი ხორცეული, კარგი საჭმელი ამავე თვისებისაა. საჭმლით და სასმლით გამაძღარს, დაკმაყოფილებულს ადამიანს ავიწყდება ღმერთი, ხოლო მშიერს, ძალაუნებურად, აგონდება იგი. ღმერთია მხოლოდ მშიერთა, ტანჯულთა და დავრდომილთა ნუგეში.

დიდ-მარხვაც სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ შიმშილის მეოხებით, ლეშის დატანჯვით მიეცათ ადამიანთათვის საშუალება კეთილ ფიქრთა და გრძნობათა ასაღორძინებლად. მარხვა სინონიმია სინანულისა და მოთმინებისა. „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“, გვასწავლის მარხვის მომგონი და დამწესებელი.

* * *

მოთმენაც არის და მოთმენაც. რა უნდა დავთმოთ? რა უნდა მოვითმინოთ? მოთმინებაზე სჯობს ჩვენი საკუთარი აზრით ვიხელმძღვანელოთ გარეშე სამღვთო წერილისა, შავი თეთრისაგან სჯობია თავის საკუთარის თვალებით გავარჩიოთ. მაშასადამე, კარგი ბოზბაში რომ ლობიოს ვანაცვალო, ესეც მოთმინებაა, შენ დოშაკზე მოგასვენო და მეც ცარიელს მიწაზე დავეგდო ესეც; შენ მლანძღავდე და მცემდე და მე ხმასაც არ გცემდე - ესეც მოთმენაა; ერთის ლუკმის პატრონმა და ერთის პერანგისამ შენ შეგმოსო, გაგაძღო, მე ტიტველი და მშიერი დავრჩე, ამ ჯურის მოთმენა საქებურიცაა, განაღამც დასაძრახავი. ხოლო მოსათმენია განა, მე გემუდარებოდე შენ, ძალით და ღონით შემოსილს: მშიან, შიშველი ვარ, მაჭამე, შემმოსეო, შენ კი სახლკარგს თავზე მაქცევდე და ჩემ ცოლ-შვილს ჩემს თვალწინ აუპატიურებდე? განა ესეც უნდა მოითმინოს ადამიანმა? განა ამისთანა მოთმენაც საქებარია? საქებარია კი არა, ღირსია წყევლისა და კრულვისა, დიდი ცოდვაა წინაშე ღვთისა და კაცისა, რადგან შენ შენის მოთმინებით ხელს უწყობ ტარვალის ბუნებას გაძლიერდეს და განვითარდეს იგი, უფრო ფრთები შეისხას, გათამამდეს; შენ კი უდანაშაულო ადამიანმა, ის სულ უბრალო გრძნობა თავმოყვარეობისა გულში ჩაიკლა და შენსავით უბედურთ და დავრდომილთ ამით მისცე მაგალითი უმსგავსის მოთმინებისა, თავის ადამიანობის გათელვისა საკუთარის ფეხებით?! არა და არჯერ არა!..

* * *

ბევრი ეკლესია დაუქმდა წელს, დიდ-მარხვაში, და ბევრი ზარი დადუმდა, რომ აღარც სამწუხარო, სადიდმარხვო ხმას გამოსცემს და აღარც სამხიარულოს, სდუმს, როგორც მკვდარი სამარეში. „ტარასტა“ ვეღარ ბედავს ზარის თოკს ხელი მიაკაროს და ჩამოჰკრას. ვისთვის? რისთვის? მოძღვარი კი აღარსადა სჩანს და!.. დიაკვნებს დარჩათ დღეს ბურთი და მოედანი; კიდეც უხარიათ, რომ იმათი მღვდლები საბნელოდან გამოიცქირებიან. აძლევენ, სადაც ჯერ არს „პროშენიეს“ „პროშენიეზე“ და ეფიცებიან მთავრობას, რომ მხოლოდ ისინი არიან ერთგულნი მთავრობისა, პირნი „კეთილსაიმედონი“, ამამაღლებელნი ერისა გონებრივ და ზნეობრივ, და რომ ისინი აკურთხოს არქიერმა მღვდელებად, თხა და მგელი ერთად მოსძოვს და დამყარდება კაცთა შორის სათნოება და სიყვარული. ასე ყოფილა და იქნება მუდამ. „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო“, ნათქვამია და არც ტყუილად. დიაკვნები იმედოვნებენ, რომ მათი თხოვნა უსათუოდ შეწყნარებული იქნება, დრო იგდეს ხელთ, დრო! განა არ მოგეხსენებათ: „ჟამიჟამსა, თორემ ჟამი სულ მუდამაც იწირვისო“, „დააკარ პური, ვიდრე თორნე ცხელიაო...“ ბედნიერია ის დიაკვანი რომლის მღვდელი საბნელოში მოჰყვა, ხოლო სთვლის თავს უბედურად იგი, ვინაც საბნელოს გარედ დარჩა.

* * *

დიაკვნები რა სათქმელია და რა ანგარიშში მოსატანი. ყველა ხილულმა და უხილავმა შავმა ძალმა, როგორც გაზაფხულზე სითბოს სუნზეგველებმა, თავები წამოყაყვა, იცქირება ამაყად, მამაცად. როცა ჰხედავდნენ, საქვეყნო აზრი იმარჯვებსო, ერთობის ადამიანებად ასაღებდნენ თავიანთ თავს და დღეს კი, როცა დარწმუნდნენ, მოწინააღმდეგეთა ფიქრმა და ძალამ გაიმარჯვა, ერთობასაც სწყევლიან და ერთობის მიმდევართაც. დღეს ისინი ჭკვიანობენ, კრიტიკოსობენ, მჭევრმეტყველობენ, ეს ასე უნდა ყოფილიყო, ეს ისეო და ამასობაში თავიანთ პირად საქმეებს სჩარხავენ; როგორც დღეს არიან უსარგებლონი, ისე გუშინ იყვნენ და ამას კი აღარ ვარაუდობენ, არა სთვლიან თავიანთ სირცხვილად, რომ კეთილი საქმე იმათ წყალობით იღუპება, ფუჭდება, არ არსებობს მათთვის სინანული, არც სიბრალული და მოთმინება. რად მოითმენენ, როცა ძალა მათ ხელთ არის, ქარი უქრისთ? რას შეინანებენ, როცა, თუნდ მშობელ დედას ძუძუ მოაჭრან, რაც უნდა სხვა საძაგლობა ჩაიდინო, იმათ პირის კანს სიწითლე არ მიეკარება?! დღეს ერთობას ნიშნს უგებენ, ჩუმად ხითხითებენ, ეშმაკებს აცინებენ, ხოლო ანგელოზებს ატირებენ. აი მათი კაცობა, მოქალაქეობა და მამულიშვილობა. არ იციან უბადრუკთ, რომ მალე დადგება ისევ ის დრო, როცა მთელის ერის პირით გაიგონებენ ძლიერს, შეუწყნარებელს მსჯავრს: „კათაკმეველნო, განვედით!.. რაოდენიც მორწმუნენი ხართ მერმე და მერმე უფლისა მიმართ ვილოცოთო“.

* * *

სინანული? ცოდვილთათვის არ არსებობს იგი; შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილან მართალნი, ქვეყნის ერთგულნი, ენანებათ დღესდღეობით დაჩაგრული სიმართლე; სწყინთ, რომ ვერ მოიპოვეს მას გამარჯვება. დღეს ესენი არიან ნამდვილნი მარხულნი, რადგან სულით მარხულობა ბევრით აღემატება ჭკუით მარხულობას.

მართალნო, ქვეყნის ერთგულნო! ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცოდებანი, რამაც ხელი შეგიშალათ, და ეცადეთ მომავალში აიცდინოთ თავიდან. დაჰგმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა, წვრილფეხა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას: მოიგონეთ ის, ნოეს დროის, ცხრა შვილის პატრონი მეფე, რომელმაც ცხრა, ერთ კონად შეკრული ისარი დაუტოვა შვილებს ერთობის სიმბოლოდ. ხომ გახსოვთ რომ, ერთად მუხლზე მოდებით ვერავინ ვერ შესძლო ისრის კონა გაეტეხა, ხოლო სათითაოდ კი ყველამ შესძლო ისრების დამსხვრევა?

ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოიპოვებს...

გაითვალისწინეთ ყველამ თვითეული თავისი სიტყვა, გადადგმული ნაბიჯი, ასწონ-დასწონეთ. უვარგისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ, სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰმალავს. გამომჟღავნება თავის შეცდომისა და ცოდვებისა იგივე გმირობაა. ხოლო ნუ შეინანებთ ნურავინ დახოცილ ნათესავთ, მითუმეტეს საქვეყნოდ. უმსხვერპლოდ არსად რა გაკეთბულა, არც გაკეთდება, ნუ შეინანებთ დანგრეულს და გადამწვარს სახლ-კარს, რადგან სინანულით არც მკვდრები აღზდგებიან და არც სახლი და კარგი განახლდება...

ღმერთმა დაგიფაროთ, ამას ამბობდეთ: ჩემთვის ჭკვიანად რომ ვყოფილიყავ, ხომ არც ეს უბედურება დამემართებოდაო. ეს მადლისა მატლად ქცევა გამოვა, მადლში ცოდვის შერევა მისი გაბათილება. რა დაგვრჩენია ბოლოს? რა ვსთქვათ? რა ვიფიქროთ?

დიდო-მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს, ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს გვექმნას მზედ და მფარველად, მოგვეცეს ჩვენც ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ!

(1906 წ.)

ვაჟა-ფშაველა

დიდ-მარხვა

სწორედ რომ დიდ-მარხვაა. ნუ გაგიკვირდება კი, მკითხველო, და უნდა მოგახსენო, რომ ამისთანა დიდ-მარხვა საქართველოს დიდი ხანია არა სწვევია. დღეს ჩვენი ყველასი სასმელ-საჭმელი ისეა შენელებული რაღაც უცნაური სანელით, რომ, კუჭი თავისთვის იყოს, სული გეხუთება, გული და გონება იკუმშება, სისხლი ძარღვებში იყინება, გუბდება, ჩვეულებრივ აღარ მდინარებს თავში. და განა ერთის თავში, არა, ყველას თავში, თვით იმ „გარადავოის“ თავშიც კი, რომელსაც ხმლისა და რევოლვერის გარდა წვერზე ხიშტჩამოცმული ბერდენა დაუჭერია და ქუჩებზე დაყიალობს. დღეს ორი ერთმანეთის მოჯიბრე და მოწინააღმდეგე აზრი დანავარდობს, ერთსა ჰქვიან სახელად „ჰო“, მეორეს „არა“. ამ „ჰოსა“ და „არას“ დარჩა ბურთი და მოედანი ჩვენს თავში. ერთმანეთს ეჩხუბებიან, მუშტებს უღერებენ, უნდა ერთს მეორე დაამარცხოს და მარტოკა თავად დარჩეს ადამიანის თავში ბატონ-მბრძანებლად, და იქამდის გულუბრყვილონი არიან საწყლები, ჰგონიათ, რაკი ჩვენს თავში ერთი მათგანი გაბატონდება, უსათუოდ ცხოვრებაც მიიღებს მის ბატონობას... დიაღ, სწეწენ ერთმანეთს, ჰგლეჯენ, ჰფლეთენ და მათი წეწვა-გლეჯა კი ჩვენ გვიხდება ჭირად, ჩვენა გვტანჯავს, გვქელავს, სულს გვიხუთავს, სიცოცლეს გვიმწარებს.

მართლაც, თუ კარგად ვიფიქრებთ და ვიტყვით სიმართლეს, დღეს ის დღეა, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, ქათმის როლს ასრულებს, იმ ქათმისა, რომელიც ერთხელ ჩიოდა: ღორი დაკლეს - ზედ წამაკლეს, ცხვარი დაკლეს-ზედ წამაკლეს, ძროხა დაკლეს-ზედ წამაკლესო. სწორედ ადამიანი დღეს ქათამია: ქათმის სიცოცხლე მეტად ფასობს, ხოლო ადამიანის სიცოცხლემ დაკარგა ყოველივე ფასი. აღარა ღირს ჩალად. ეს „ჰო“-„არაც“ საცოდავ ადამიანს სტანჯავს შიგნიდან, სტანჯავს და აწამებს, და გარედან ხომ ხიშტებია მზად. მიდიხარ არხეინად ქუჩაზე და ვინ არის თავდები, რომ ვინმეს არ მოუვლის პოხონდრია, მასხრობის ჟინი არ აიტანს და ხიშტს არ გატაკებს?! წადი და იჩივლე. ისე ჩაივლის თქვენის მტრის სიცოცხლე, როგორც ჩაილულის წყალი. მოკვდა ადამიანი? არაფერი. ნება აქვს: ალბათ საჭირო იყო ადამიანის მოკვლა და მოჰკლა. მორჩა და გათავდა. აი დღევანდელი სამართალი, დღევანდელი ხელშეუხებლობა პიროვნებისა!

ინავარდეთ მხოლოდ თქვენ „ჰო“ და „არავ“, კაწრეთ ერთმანეთი, და გვტანჯეთ ჩვენც, ადამიანები, თქვენი უმორჩილესნი მონანი, თქვენს ფერხთ ქვეშ მდებარენი.

განა მარტო „ჰო“ და „არა“ ჩხუბობენ? ამათ ფეხის ხმას აჰყოლიან ჩვენი გაზეთებიც; ან კი რა გასაკვირალია, თუ კაცის თავსა და სისხლში ასეთი ორჭოფობაა, ქაღალდზე, რომელიც უფრო მომთმენია, რათქმაუნდა, მუშტის-კრივი გაიმართოს, კრივი ფრაზებისა, სიტყვებისა და სხვადასხვა? მე არ მიკვირს. რადგან ეს დღევანდელ დღეს მოსალოდნელია. მხოლოდ ის უფრო საკვირველია: ფაქტი, მოვლენა, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ერთნაირია, ხოლო შეხედულება ამ მოვლენაზე, ამ ფაქტზე სხვადასხვანაირი, ე.ი. იმდენი, რამდენიც თავია ტანზე ამოსული. დღეს გონების დავთრები დავკარგეთ, უკუღმა დავიწყეთ ფიქრი. რადა? რისთვის? ფიქრმა, აზრმა რა დააშავა? თუ საშუალება აზრის მისაღწევად უვარგისი გამოდგა, ეს იმას როდი მოასწავებს, თვით აზრს წიხლით შევდგეთ და ზედ ვინავარდოთ, ვთელოთ, ვაფურთხოთ. ვლანძღოთ? ეს ხომ ლაჩრობაა, სულმდაბლობაა. არა. ნუ შეურაცხვყოფთ წმინდათა წმინდას, ნურც შიშის გამო, რომელიც ხშირად ამრუდებს ადამიანის აზროვნებას, ნურც ხათრისა და დობილ-ძმობილობის გამო.

ხოლო რომელ აზრს... აღარც ვიცი რა ვთქვა, ან რომელი აზრი დავასახელო? დამერწმუნეთ, მიჭირს ამ აზრის დასახელება. რადაო? იკითხავთ. მადა, ჩემო კარგო, რომ ლანძღვაგინებისა მეშინიან; მეშინიან, თუმც ვიცი ლანძღვაში არაფერი ყრია და ვერც რასმე ჩამოჰოჩება ლანძღვა პატიოსან ადამიანს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ვაი თუ მეც ლანძღვის საღერღელი ამეშალოს და ვაი მაშინ ბრალი აზრისა; ასეა მუდამ, ჩვენ ერთმანეთის ლანძღვას მოვუნდებით და აზრი დაგვავიწყდება, ის რაც უფრო საჭიროა ჩვენთვის. კიდევ აზრი?! ჰმ!

რა ჰქნას ადამიანმა? რა ვქნა? რომ ისევ აზრი არ ვახსენო. რადგან ძალაუნებურად ენაზე მადგება და უიმისოდ არც ერთი ფეხის გადადგმაც არ გამომადგება?! დიაღ, აზრი, აზრი, აზრი! მაგრამ რომელი აზრი?

ეჰ. თუმც ვერიდები მის გამომჟღავნებას, მაგრამ ტყუილად! ვიტყვი, რაც იქნება-იქნება, დაე მლანძღონ, ისევ მოქალაქობრივ სიმამაცის გამოჩენა სჯობიან გაჩუმებას, მხოლოდ ვეცდები ისეთი აზრი ვახსენო, კლანჭი არსაიდან გამოედვას, ყველა პარტია მოვიმადლიერო, ყველამ, თუ გული-გულში დამემდურება, აშკარად მაინც ვერ გაბედოს ჩემი გალანძღვა და შეურაცხყოფა. ეს გახლავთ: ა ზ რ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ხ ს ნ ი ს ა.

ნუთუ ეს არ კმარა, რომ ყველა პარტიამ ეს იწამოს და იმ აზრის ქვეშ მოუყაროს თავი თავს? ან იქნებ აკლია ამ აზრს განმარტება? აკლიაო? დიაღაც რომ აკლია და კიდეც აქ არის ძაღლის თავი დამარხული, კიდეც ამის გამო არის, რომ ერთმანეთს გაზეთები სწეწენ, ცხვირ-პირს აჭამენ: ქვეყნის ხსნა ერთს ასე ესმის, მეორეს ისე... რადა? რისთვისაა ასე? ნუთუ ძალიან ძნელი გაგება უნდა აზრს ქვეყნის ხსნისას?.. არა, ბევრს კარგადაც ესმის, კარგადაც გრძნობს, მაგრამ ძალად თვალებს და გონებას იბრმავებს, სჭირს პარტიული სიჯიუტე, რომელზედაც ჰერბერტ სპენსერი ამბობს, რომ ეს სიჯიუტე დიდად აფერხებს ქვეყნის ქეთილდღეობასო. სპენსერის ხსენება ან კი რა საჭიროა, სხვა რამდენი გონიერი კაცი ამბობს და ფიქრობს ამასვე. დიაღ, გონიერი, ხოლო გონიერი ჩვენში... გონიერება ჩვენში... ჰმ!..

წყეულო სატანავ, განვედი ჩემგან! ხომ გახსოვსთ, როდის უთხრა მაცხოვარმა ეს სიტყვები მაცდურებს? გაიხსენეთ, მოიგონეთ ეს სურათი დიდი-მარხვისა და სთქვით მედგრად, მტკიცედ! წყეულო სატანავ, კვალად გეტყვი შენ, განვედი ჩემგან!

ვიწერ ამ სიტყვებს და თანაც ვიმედოვნებ, რომ იქნება გასჭრას ჩემმა მოწოდებამ მეთქი. საწყალი მეფელეტონე!.. რა იმედი გაქვს, როგორ გულუბრყვილოდ მსჯელობ და არ უკვირდები საქმეს, სინამდვილეს. სხვები შეიძლება დაითანხმო, მაგრამ იმათზე რაღა სიტყვა გეთქმის, ვინც ეროვნებას, ენას და ყოველ ეროვნულ ნასახებს უარყოფს? კიდევ იმედს არა ვკარგავ და ასე ვფიქრობ: ეს დროებითი სენი უნდა იყოს, გარდამავალი, როგორც ჟამი, ხორველა, ომიანობა, ავდარი, ზამთარი. ღმერთმა ქმნას, ისეთივე დროებითი გამოდგეს ამ ადამიანთა რწმენა, როგორც ეს დალოცვილი დიდ-მარხვაა; მალე გამხსნილდება, მალე აღდგომა მოვა და ყველანი ერთად შემოვძახებთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.

ადრე ნუ ჰკარგავთ იმედსა,
მალევ ნუ დასწვრილმანდებით;
ქედს ნუ მოიხრით მონურად,
მალევ ნუ დაიჩაგრებით.
აღსდგება ქრისე, აღსდგება,
დიდის ტანჯვისა მნახველი,
იმასთან ერთად აღსდგება
ქრისტეს მოსავთა სახელი.
ვინც ქრისტეს დაემოწაფა,
თავი შეაკლა რწმენასა,
ნეტარხსენება ვაჟკაცებს,
გმირების აღმაფრენასა.
ქრისტე აღსდგაო, დასძახებს,
მთა-ბარად ნაზი ბულბული,
გაგვინათლდება აღდგომით
ყველას დამწყვარი სულგული.
აღსდგება ქრისტე, ნუ სტირით,
შემოიკრიბეთ მხნეობა!
რად მალე გული გაგიტყდათ
და დაგიმჩატდათ ზნეობა?
დაგვატკბობს ერთხელ ჩვენაცა
თავისუფლების დღეობა,
სისხლს-გულით ნადენს,
ცრემლს-თვალით,
შესცვლის ლხინი და ღრეობა!..

(1906 წ.)

ფოტოზე: ტონდო წმ. მამას გამოსახულებით, გელათი, XI საუკუნის პირველი მეოთხედი, ვერცხლი, ნაწილობრივ მოოქრული, დიამეტრი 20,5 სმ.

კაი ყმა

(ხევსურულ ჰანგზე)

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?

მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს,
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს;
მოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს.
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.

ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;
მიიღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგას ხმალამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
დაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.

სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა,
მარტო სახელსა სწირავდეს.

ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად სამარი,
საკაცე თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი.

სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.

აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!

როჟე-პოლ დრუა, პარიზი, 2008

ყველასათვის ახსნილი დასავლეთი

შესავალი, აქტუალური სიტყვა:

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

დასავლეთის საკითხი ყველგან აქტუალურია. ეს არის ჩვენი თანამედროვეობის განმსაზღვრელი ცნება. ჩართეთ რადიო თუ ტელევიზია, გადაშალეთ ყოველდღიური გაზეთი თუ ჟურნალი, მოიძიეთ ახალი ამბები ინტერნეტში და თქვენ მას აუცილებლად შეხვდებით. ტერორისტები დასავლეთს უტევენ, იწვევენ მას და უნდათ მისი მოსპობა. მსოფლიოს სიმდიდრე დასავლეთის ხელშია ან სტოვებს დასავლეთს. დასავლურმა ცხოვრების წესმა თითქოს დაიპყრო დედამიწა, მაგრამ დასავლური ღირებულებების განხორციელება ჭირს... ეს სიტყვა ყველგანაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ არის ცხადი. ხშირად ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, იმიტომ, რომ გვგონია, ვიცით რაზე ვლაპარაკობთ. არა და სირთულეები მას შემდეგ ჩნდება, როდესაც ვიკითხავთ თუ რა არის დასავლეთი.

ესაა ადგილი, მსოფლიოს რეგიონი? ევროპა თუ ამერიკა? თუ ორივე? თუ მდიდარ ქვეყანათა ერთობლიობა? ეს ისტორიის პერიოდია? თუ ეკონომიკური სისტემაა? ცხოვრების წესია? მორალია? რელიგიაა? სულიერი განწყობაა? სიკეთეა თუ შეჩვენება? დასავლეთი დღეს მხოლოდ დედამიწის ზოგ ნაწილში გვხვდება თუ ის თითქმის ყველგანაა?

ეს ამ წიგნის კითხვებია. ისინი შეძლებისდაგვარად მარტივად და გასაგებადაა გაღრმავებული. რა თქმა უნდა ყოველ მათგანს საბოლოო პასუხი არ გაეცემა, მაგრამ გაშუქდება, რათა მათი შემადგენელი ელემენტები გამოჩნდეს. ბუნდოვანი და გაურკვეველი ხატები უსარგებლო იდეები იქნება, რაც ძალადობის და სიძულვილის წყარო გახდება. ჩვენ უნდა ვეცადოთ მათ ახსნით ვებრძოლოთ.

სადაა დასავლეთი?

ცნება დასავლეთი იმთავითვე მზის ჩასვლის ადგილს ნიშნავდა. მხარეს, სადაც მზე ყოველ დღე ამთავრებს თავის რბოლას.

ერთის შეხედვით ეს ძალიან მარტივი ჩანდა. მაგრამ გარეგნულად ესოდენ მარტივ კონსტატაციებს არ უნდა ვენდოთ. ყველაზე ხშირად ისინი უამრავ თანდათანობით გამოაშკარავებულ კითხვას მალავენ და ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა.

ბაზისური მონაცემი-დასავლეთი: მხარე სადაც მზე წვება, აღძრავს სულ მცირე სამ შენიშვნას; პირველ რიგში, ლაპარაკია სივრცეში ორიენტაციაზე. «დასავლეთი» არის გარკვეული მიმართულების სახელი, მაგალითად, როგორც არის მარჯვენა და მარცხენა, ზედა და ქვედა, წინ თუ უკან. მაშ ლაპარაკი თავიდან არაა ცივილიზაციის, რელიგიის თუ პოლიტიკის განსაკუთრებულ ფორმაზე.

მეორეს მხრივ უნდა ითქვას, რომ სივრცეში მიმართულებების მაჩვენებელი ეს ცნებები ქმნიან დაპირისპირებულთა წყვილებს. ეს აშკარაა: მარჯვენა მარცხენას გარეშე არ არსებობს და პირიქით. იგივე ითქმის ზედაზე და ქვედაზე, წინაზე და უკანაზე. არაც დასავლეთია გამონაკლისი, მზის ჩასვლის მხარეს მზის ამოსვლის მხარე, აღმოსავლეთი უპირისპირდება.

მაშ, დასავლეთი, არ არსებობს სრულიად მარტო. ისაა ორი ელემენტის დაპირისპირებულ წყვილის ნაწილი. ერთის მხრივ მზის ამოსვლის მხარე - აღმოსავლეთი და მეორეს მხარივ მზის ჩასვლის მხარე -დასავლეთი.

ამასთანავე დედამიწის ყოველ წერტილს აქვს თავისი აღმოსავლეთი და დასავლეთი. მაგითალად, ტოკიოსთვის პეკინი დასავლეთშია. ეს კი სვამს საკითხს. სადაა ცენტრი?

როდესაც ვცდილობთ სივრცეში ორიენტაციას, ვაზუსტებთ არსებობს თუ არა ცენტრი. «მარჯვნივ», «ზევით», «წინ», არ არსებობენ თავისთავად. ისინი არსებობენ მხოლოდ ათვლის წერტილის მიმართ (ჩვენი სახლის მარჯვნივ, ჩემს ზევით ან წინ). ჩვენ ამ გაურკვევლობაში მანამდე ვიქნებით, სანამ არ მივუთითებთ ათვლის წერილს: დედამიწის ყველა წერტილს აქვს «თავისი» დასავლეთი. თეორიულად ეს სავსებით ზუსტია, მაგრამ ცხადია, რომ საქმე სხვანაირად არის, როდესაც ყოველ დღე დასავლეთზე და აღმოსავლეთზე ვსაუბრობთ.

მაშ უნდა ვიკითხოთ, სად არის ცნება-

ფოტოზე: რაფაელი, ესაია წინასწარმეტყველი, 1511/12, 115x250

«დასავლეთის» შემქმნელ ისტორიაში თავდაპირველი ათვლის წერტილი. სხვა სიტყვებით : საიდან იყო განსაზღვრული აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეები. ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი იქნება: ათენი. მართლაც, დასავლეთი და აღმოსავლეთი თავიდან განსაზღვრული იყო მსოფლიოს ბერძნულ ცენტრთან მიმართებაში. პირველი საორიენტაციო მერიდიანი იყო არა ინგლისის გრინვიჩი, არამედ ათენისა და ძველი საბერძნეთის მიწის მცირე ფოჩისა.

თავდაპირველად, სწორედ საბერძნეთიდან განისაზღვრა აღმოსავლეთი და დასავლეთი. აღმოსავლეთით ბერძნები ხედავდნენ სპარსეთს, მცირე აზიის სანაპიროს, დღევანდელ ხმელთაშუა ზღვის თურქეთს, შავი ზღვის იქით კავკასიას და შუა აზიას. ამას გულისხმობდა ბერძნების «აღმოსავლეთი». დასავლეთით არის იტალია, სიცილია, ესპანეთი, გალია (თანამედროვე საფრანგეთი), საბერძნეთის ხმელთაშუა ზღვის მეორე მხარისგან და შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ატლანტიკისგან გამომყოფი მიწები.

ეს დანაწილება დიდად, არც მაშინ შეიცვლება, როდესაც ათვლის წერტილი არა ათენი, არამედ რომი იქნება. დანაწილება მაშინაც დაახლოებით ასეთი დარჩება, როდესაც პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ხელისუფლება რომის იმპერიის ხელიში იქნება. მაშ გადავედით მსოფლიოს რეგიონის აღნიშვნაზე.

დასავლეთის საზღვრები იცვლებოდა, მაგრამ დიდხანს ემთხვეოდა თანამედროვე დასავლეთ ევროპას. ანტიკურ ხანაში ეს ამ ევროპის მხოლოდ ნაწილი იყო.

ის, რასაც ანტიკურ ხანაში დასავლეთს უწოდებდნენ, არ მოიცავდა, არც ახალგაცნობილ სკანდინავიას, რომელიც იმდროინდელ მკვლევართა აზრით ჩრდილოეთის ლეგენდარული ხალხი «ჰიპერბორეელებით» უნდა ყოფილიყო დასახლებული, არც ცენტრალური ევროპის ველებს, არც ბალტიის ქვეყნებს, არც პოლონეთს, არც დანიას და ძლივს სწვდებოდა სამხრეთ ინგლისს. საუკუნეთა მანძილზე დასავლეთში ჩართული იყო ახალი მხარეები. რომის იმპერიის დასასრულს, მაგალითად, მაშინ როდესაც ერთმანეთისაგან გამოყოფა დაიწყეს აღმოსავლეთის და დასავლეთის რომის იმპერიებმა, დასავლეთ რომის იმპერია ევროპის მთელ დასავლეთ ნაწილს, სამხრეთ ესპანეთიდან შოტლანდიამდე, ბრეტანიდან რაინამდე და დუნაიმდე მოიცავდა.

ეს დაყოფა დიდად დღესაც არ შეცვლილა. დასავლეთი გეოგრაფიული თვალსაზრისით, უმთავრესად დასავლეთ-ევროპა ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპასთან ერთად იყო. კამათი აღმოსავლეთ ევროპის ადგილთან დაკავშირებით იწყებოდა. რუსეთისაკენ, თურქეთისაკენ სვლისას უახლოვდებოდნენ აღმოსავლეთ აზიას. დასავლეთის ზუსტი საზღვარი ამ მხრიდან დიდხანს საკამათო იყო. მით უფრო, რომ ლაპარაკი არა მხოლოდ სივრცის, არამედ რელიგიების, სარწმუნოებათა და პოლიტიკურ რეჟიმთა დაყოფაზეც იყო.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქრისტიანი დასავლეთი კათოლიკე იყო, ქრისტიანი აღმოსავლეთი კი მართლმადიდებელი. ვითარება არაბულმა დაპყრობებმა და შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ბატონობამ კიდევ უფრო შეცვალა. ქრისტიანულ დასავლეთს ამჯერად მაჰმადიანი აღმოსავლეთი უპირისპირდებოდა.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ფიზიკური გეოგრაფია საკმარისი არ არის და დასავლეთი მხოლოდ ადგილის საქმე როდია. ეს მხოლოდ რუკაზე დასახატი რეგიონი არაა. ის ორგანიზებულია მდინარეთა, საზღვაო და სახმელეთო გზათა ქსელებზე, სანაპიროებზე, ქალაქებზე დაყრდნობით, მაგრამ მის განსაზღვრებაში სხვა ელემენტებიც უნდა შევიყვანოთ.

დასავლეთი უბრალოდ რეგიონი არ არის, ესაა საზოგადოების გარკვეულ რწმენათა და მიდგომათა მთლიანობა, რომელმაც მისი ისტორია განსაზღვრა და ხელი შეუწყო მის ექსპანსიას.

დასავლეთის მთლიანად სანახავად დღეს საჭიროა აღმოსავლეთითაც წასვლა. დასავლეთის რაობის განსაზღვრებისას ანგარიში უნდა გავუწიოთ კულტურისა და ისტორიის ელემენტებს.

იმის გასაგებად თუ რა არის ის, რასაც «დასავლეთს» უწოდებენ, ჩართული უნდა იყოს რელიგია, პოლიტიკა, მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და ეკონომიკა. ამოცანას ზომა არ გააჩნია და ამიტომ ჩვენ მხოლოდ დიდი ხაზების გავლებას შევძლებთ.

ყველაფერი ბერძნებით ძვ.წ. VI-V საუკუნეებში დაიწყო. მხოლოდ რამოდენიმე თაობაში მათ მოიგონეს ტრაგედია, დემოკრატიული დებატი, მეცნიერული კვლევა, ფილოსოფიური გააზრება! და მათ ესმოდათ, რომ სხვაგან არარსებული ღირებულებები და თავისუფლებები შექმნეს.

ბერძნები სხვა ხალხებს ეძახიან «ბარბაროსებს». მათი აზრით ეს შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი სახელი არ არის. «ბარბაროსი» არის «ყველა სხვა», ვინც არ ლაპარაკობს ბერძნულად და არ არის თავისუფალი მოქალაქე. ზოგი ბარბაროსი გაუთლელია, ზოგი სწავლული, მაგრამ ყველა არის იმპერატორის, მეფის თუ ფარაონის ქვეშევრდომი. მხოლოდ ბერძნები იღებენ კანონებს და ქმნიან ავტონომიურ პოლისებს, ქალაქ-სახელმწიფოებს.

ეს მშენებლობა შემდგომში თავისებურად გააგრძელეს რომაელებმა. მათ თავისი ლეგიონებით თითქმის მთელი, იმ დროისთვის ცნობილი მსოფლიო დაიპყრეს. ისინი უფლებათა გარანტიებს აძლევდნენ იმპერიის ნებისმიერი ენის, წარმომავლობის თუ სარწმუნოების მკვიდრებს.

რომის იმპერიის დასასრულს, ქრისტიანობამ სხვა რელიგიებს აჯობა და ეკლესიამ დასავლეთს ახალი მეობა მისცა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დასავლეთი და ქრისტიანობა გაიგივდა

ერთმანეთთან. ასე იყო დიდი ხნის მანძილზე. ახალ დროში დასავლეთის ამ მეობამ ადგილი დასავლეთის სხვა სახეებს დაუთმო.
დასავლეთი გარეგნულად ხშირად იცვლებოდა. XVI საუკუნიდან, აღორძინებასთან და შემდეგ ახალ დროსთან ერთად დასავლეთი არაჩვეულებრივად განვითარდა. ის თანდათანობით მსოფლიო ვაჭრობის ბატონად იქცა.
ეს ეკონომიკური ექსპანსია ლათინური ამერიკიდან ოქრო-ვერცხლის ჩამოსვლასთან, საბანკო სისტემების და სავაჭრო კაპიტალიზმის გამოგონებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ის აგრეთვე დიდ მეცნიერულ და ტექნიკურ აღმოჩენებს, ტრანსპორტისა და ინდუსტრიის თანდათანობით განვითარებას და სრულყოფას უკავშირდება.
დასავლეთი იქცა მეცნიერებათა, მანქანების ინდუსტრიის და აგრეთვე დაპყრობათა, კოლონიზაციის და ექსპლუატაციის სასაკლაოთა სიმბოლოდ. ახალმა ძალამ დასავლეთს XVIII-XX საუკუნეში თითქმის მთელ დედამიწაზე გაბატონების საშუალება მისცა. XIX საუკუნეში გავრცელებული რასისტული თვალსაზრისი კაცობრიობას სხვადასხვა ფერის რასებად ჰყოფდა, იმ პერიოდში დასავლეთი «თეთრი რასის» ცივილიზაციას განასახიერებდა. ეს ე. წ. რასა მეცნიერული და ტექნიკური განვითარების, წარმოსახვითი ბიოლოგიური თვისებების ერთმანეთთან აღრევა-გაიგივების შედეგად უმაღლეს რასად იქნა გამოცხადებული.
XIX საუკუნეში მსოფლიოსა და დასავლეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ის, რასაც უწოდებდნენ «დასავლეთს», ამიერიდან მხოლოდ ევროპა აღარ არის, ის ამერიკის შეერთებული შტატებიც გახდა და ისინი XX საუკუნიდან მსოფლიო ეკონომიკაზე ერთად ბატონობენ. ამერიკის შეერთებული შტატების თავიდან ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისებით გაძლიერებამ, დასავლეთში მდგომარეობა დიდად შეცვალა. დასავლეთი მხოლოდ ევროპასთან აღარ იგივდება, ცნებამ მნიშვნელობა შეიცვალა.
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და საბჭოთა ბლოკის «თავისუფალ სამყაროსთან» დამაპირისპირებელი ცივი ომის დროს, ცნება «დასავლეთი» პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით ხშირად აღნიშნავდა 1949 წელს შექმნილი ნატოს ბლოკის ქვეყნებს, ესე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.
ამ პერიოდში ცნება «დასავლეთი» გეგმიანი ეკონომიკის და დიქტატორულ ხელისუფლებათა კომუნისტური სამყაროს საპირისპიროდ, დემოკრატიული მთავრობების ხელმძღვანელობით მცხოვრებ თავისუფალი მეწარმეობისა და თავისუფალი ვაჭრობის სამყაროს წარმოადგენდა. ბოლო წლებში «დასავლეთი» სულ უფრო და უფრო ნაკლებად ნიშნავს ადგილს, იგი აღნიშნავს საზოგადოების ტიპს. ეს სიტყვა დღეს უწინარეს ყოვლისა ტექნიკურ განვითარებას და თანამედროვეობას ნიშნავს. სიმდიდრეს სიღატაკის წინააღმდეგ, მოხმარებას გაჭირვების საპირისპიროდ. ან კიდევ ჩრდილოეთი სამხრეთის წინააღმდეგ, ვინაიდან დასავლეთის ბოლო ევოლუცია მისთვის სხვა ადგილის მიცემით დამთავრდა: უფრო ჩრდილოეთი ვიდრე დასავლეთი!
ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით დასავლეთის ამ ახალი ასპექტის წარმოსადგენად, აღარ არის საკმარისი მხოლოდ დასავლეთ ევროპა ან ევროპა მის მთლიანობაში. ამ ანსამბლის არსებითი ელემენტებია ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია.
მაგრამ, არც ეს არის საკმარისი მთლიანად დასავლეთის წარმოსადგენად, ამ ქვეყნებს უნდა დავუმატოთ ტექნიკური და კომერციული ისევე, როგორც მათი ცხოვრების წესით ისეთი სავსებით ოქსიდენტალიზებული, გადასავლურებული ქვეყნები, როგორებიც არიან იაპონია თუ სამხრეთი კორეა (ე. ი. დასავლეთის სანახავად დღეს აღმოსავლეთით წასვლაცაა საჭირო, მთარგმნელი).
მაშ, გეოგრაფიულ ლოკალიზაციას აღარ აქვს დიდი აზრი. დასავლეთი დღეს იმდენად არის მონდიალიზებული, რომ მას ვხედავთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ამიერიდან, იაპონიასა და სამხრეთ კორეას უნდა დავამატოთ აღმავლობის გზაზე მდგარი ისეთი დიდი ძალები, როგორებიც არიან ჩინეთი და ინდოეთი. კომერციულად ეს ქვეყნები პირველ რიგში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენტებად მოიაზრებიან, მაგრამ პარტნიორებიც არიან და კლიენტებიც. ისინი დასავლელებს მათივე ტერიტორიაზე, თავისიმეთოდებით უწევენ ისეთ კონკურენციას, რომ გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ჩინეთიც და ინდოეთიც

ფოტოზე: ბამბერგელი მხედარი, 13-ე საუკუნის პირველი ნახევარი, ბამბერგი, გერმანია

საბოლოო ანგარიშით ეკუთვნიან დასავლეთს.
რასაც უწოდებენ «მონდიალიზაციას» არის მსოფლიოს «ოქსიდენტალიზაცია», «გადასავლურება». მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისას, ყველა კონტინენტზე მართლაც ვრცელდება დასავლეთში გაჩენილი ტექნიკა, დამზადების ნორმები, კომუნიკაციის ქსელები. უეჭველია, რომ ეს ოქსიდენტალიზაცია-გადასავლურება სულაც არა არის ტოტალური.
დასავლეთისთვის და მისი გავლენისთვის ენები, ცხოვრების წესები, კვების მანერები, შრომისა და აზროვნების ფორმები უცხო რჩება.
მიუხედავად ამისა, ამ მრავალფეროვნებას ერთგვარად ფარავს ინფორმატიკული ქსელებისაგან, ტელევიზიებისაგან, ტელეფონეისაგან, თვითმფრინავებისაგან, ისევე როგორც მუსიკისაგან, მოდისაგან, დედამიწის ერთი ბოლოდან მეორემდე სულ უფრო და უფრო მსგავსი ტანისამოსისაგან შემდგარი საფარველი.
ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ნამდვილი დასავლეთი არც არსებობს! როგორც ვნახეთ ის მრავალჯერ შეიცვალა საუკუნეთა მანძილზე.
ჩვენ ვნახეთ სულ მცირე ხუთი სხვადასხვა დასავლეთი: მიმართულება, მინიშნება სივრცეში (ასე საჰარას დასავლეთი ნაწილის აღსანიშნავად ლაპარაკობენ დასავლეთ საჰარაზე), პირველი გეოგრაფიული რეგიონი (დასავლეთი ევროპა), ძველი ისტორიული ერთეული (შუა საუკუნეების ევროპა, «ქრისტიანი დასავლეთი»), უფრო ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ანსამბლი (დიდი ევროპული სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები), ეკონომიკური სამყარო ძალიან ფართო საზღვრებით (ყველა მდიდარი ქვეყანა ზოგი აზიური ქვეყნის ჩათვლით)! ამ გზაზე მოსიარულე დასავლეთი განუწყვეტლად იცვლებოდა.

ადგილის შეცვლა: დასავლეთიდან, იქიდან, სადაც მზე ჩადის, დასავლეთი გადავიდა ჩრდილოეთით, რომელიც ნიშნავს დედამიწის უმდიდრეს და ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს.
სახის შეცვლა: გუშინ დასავლეთს განათლება, პროგრესი მოჰქონდა; დღეს ის ითვლება უსინდისო და ხალხებისთვის საშიშ ექსპლუატატორად.

რწმენის შეცვლა: გუშინ ქრისტიანი დასავლეთი დღეს ათეისტად ითვლება. ეს არ არის ერთადერთი ცვლილება! ყველაზე ღრმა ცვლილება უეჭველად არის დასავლეთის გავრცელება მონდიალიზაციის მეშვეობით. გუშინ ვიცოდით თუ დაახლოებით სად შეიძლებოდა მისი პოვნა. დღეს ის თითქოს ყველგან არის და ამიტომ თითქოს აღარსადაა.
დღეს დასავლეთს აკრიტიკებენ, უტევენ და ზოგჯერ გამწარებით ებრძვიან, სწორედ იმიტომ, რომ მან თითქოს ყველაფერი დაფარა, ყველაფერი მოიცვა კეთების და ხედვის მისეულ მანერებში.
დასავლეთის მოწინააღმდეგეები და მტრები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. ზოგს სხვანაირი ეკონომიკური ორგანიზაცია უნდა მთელი დედამიწისთვის და ისინი ყველა უბედურებაში დამნაშავედ დასავლეთს თვლის. ისინი ერთმანეთთან აიგივებენ დასავლეთს, კაპიტალიზმს და ექსპლუატაციას. მათი აზრით დასავლეთი წარმოადგენს სიხარბეს და მომხვეჭელობას, ადამიანური ურთიერთობების გადაქცევას სავაჭრო ურთიერთობებად, შრომის გაარადამიანურებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ველური კაპიტალიზმი ჩინეთში და ინდოეთში მეფობს, დასავლეთის მტრებს ისევ სჯერათ, რომ ღატაკთა ხარჯზე მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები მდიდრდება. ამ გაბატონებული აზრის თანახმად დასავლეთი აერთიანებს მდიდრებს, მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ღარიბებით არის დასახლებული. განსხვავებულია: უმდი-დრესი ქვეყნების დიდ ნაწილს ნავთობის მწარმოებელი არაბული ქვეყნები შეადგენენ! სხვებმა მათ მიერ დასავლეთად მიჩნეული მოვლენის მოსპობა თვითმკვლელი ტერორისტული აქტებითა და ტერორის გამეფებით გადაწყვიტეს. ისინი არიან ისლამისტები, ფანატიკოსები, რომლებიც ცდილობენ ისლამი არაადამიანურ მკვლელ მანქანად გადააქციონ.
რას უწოდებენ ისინი დასავლეთს? მხოლოდ მათ წარმოდგენაში არსებულ საცოდავ სამყაროს. დასავლეთი მათი წარმოდგენით არის დამჭკნარი, საშუალო მატერიალისტი, ურჯულო და ათეისტი საზოგადოება. ისინი ებრძვიან, არა ჯვაროსნული ომების დროინდელ ქრისტიან დასავლეთს, არამედ უღვთო, მთლიანად სიამოვნებაში და აღვირახსნილობაში გადაშვებული საზოგადეოების ლანდს. ამ საზოგადოებას უნდა დაეკარგა ღირებულებათა მნიშვნელობა, სოლიდარობისა და ადამიანური პატივისცემის ყველანაირი ფორმა.
დასავლეთი არის წარმოდგენა, იდეა, რომელიც გვეხმარება მომხდარის გააზრებაში. ვერავინ ვერ შეხვდება ხორციელ დასავლეთს ისევე, როგორც ვხვდებით ადამიანებს ქუჩებში ან სპილოებს ცირკებში. მაგრამ ამ სიტყვის გაგონებისას თავში ყველას ,,რაღაცა" გვიჩნდება. ჩვენ დავიწყეთ სწორედ ამის შესწავლა. ეს «რაღაცა თავში» ზოგჯერ ბუნდოვანია ან ისტორიის სხვადასხვა ხანიდან მოსული ელემენტებისგან შემდგარი ,,რაღაცა" არის.

ჩვენ შევეცდებით იმისა გაგებას, თუ საიდან მოდის ეს იდეა, როგორ შეიქმნა ის და რას შეესაბამება.

ძველი ბერძნების რწმენით, მათი ცივილიზაცია, ცივილიზაციის უმაღლესი, ყველაზე სრულყოფილი ფორმა იყო. თუმცა არც ისე ცივილიზებულს შეუძლია ესოდენ ცივილიზებული გახდეს, გაუნათლებელს შეუძლია განათლების მიღება.

(გაგძელება შემდეგ ნომერში)

აი ია. - ს
შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 25 აპრილს

info@ai-ia.info
www.ai-ia.info

სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაზეთი **აი ია.**
შპს „აი ია.“

პირადი ნომერი: 404890999
შროშის ქუჩა 14/10 თბილისი

რედაქცია:
ხატია ღუდუშაური
გიორგი მარჯანიშვილი

ზურაბ ხუციშვილი
ტელეფონი: 51 45 15
მობილური: 858 24 04 38
info@ai-ia.info

ტექნიკური დირექცია:
GETMANPICTURES

Copyright: „აი ია.“

გვფარავდეს ღმერთი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზვიად გამსახურდია
თბილისი, მთავრობის სასახლე, 1991 წლის 9 აპრილი

გვახსოვდეს!

1989 წლის 9 აპრილს წამებულნი

თამარ ჭოველიძე
ევა ბეჟანიშვილი
ნატო გიორგაძე
ნათია ბაშალეიშვილი
აზა ადამია
ელისო ჭიპაშვილი
თამუნა დოლიძე
თინა ენუქიძე
ნინო თოიძე
მანანა ლოლაძე
თამარ მამულაშვილი
ვენერა მეტრეველი
მამუკა ნოზაძე
ნანა სამარგულიანი
შალვა ქვასროლიაშვილი
მარინა ჭყონია-სამარგულიანი
მზია ჯინჭარაძე
მანანა მელქაძე
გია ქარსელაძე
ზაირა კიკვიძე
ნოდარ ჯანგირაშვილი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

ფაქსიმილური გამოცემა
შემოსავლის ნაწილი ჩაირიცხება ეროვნული თავდაცვის ფონდში

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
შეკვეთა 804 ტირაჟი 50 000 ფასი 2 მან. 70 კაპ.